„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ თსუ რექტორის 2025 წლის 20 ოქტომბრის (№250/01-01) ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ თსუ აკადემიური საბჭოს 2025 წლის10 ნოემბრის (№79/2025) დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი

№4

(შემაჯამებელი)

ქ. თბილისი, თსუ V კორპუსი, აუდიტორია №314
8 დეკემბერი, 2025 წელი
14.00 საათი

სხდომას ესწრებოდა საკონკურსო კომისიის ყველა წევრი:
ზაალ აბაშიძე (ისტორიის დოქტორი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) კომისიის თავმჯდომარე, სხდომის თავმჯდომარე;
დიმიტრი შველიძე (თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი), კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
ალექსანდრე ბოშიშვილი (თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი) კომისიის მდივანი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია – 1 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ზაალ აბაშიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა") 1 საშტატო ერთეულზე შემოვიდა 2 განცხადება (ქეთევან ნადირაძე, ქეთევან ქუთათელაძე).

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, 2 კანდიდატის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა შეისწავლეს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის („ა" კატეგორია – 1 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტთა შეფასება შემდეგია:

წარმოდგენილი საბუთების განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **ქეთევან ნადირაძის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში". შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიის (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება. კონკურსანტ ქეთევან ნადირაძის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მომდევნო ეტაპზე გადასვლას მხარი დაუჭირა სხდომის სამივე წევრმა. შეფასებაში განსხვავებული პოზიცია კომისიის არცერთ წევრს არ დაუფიქსირებია.

საკონკურსო კომისიაზე აღინიშნა, რომ ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში იკავებს საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული-პროფესორის აკადემიურ თანამდებობას, შესაბამისად აქვს პედაგოგიური და სასწავლო-მეთოდური მუშაობის დიდი სტაჟი.

შემოთავაზებული აქვს 8 სასწავლო კურსი. აქედან ექვსში წარმოდგენილია საავტორო სილაბუსი. ყველა სილაბუსი შეესაბამება პროფილს და შეტანილია თსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში. თსუ-ში აქვს მრავალი სალექციო კურსის წაკითხვის ხანგრძლივი გამოცდილება. გააჩნია დიდი რაოდენობით მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. მიღებული აქვს მონაწილეობა **საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ** არაერთ

საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში. განხორციელებული აქვს სამეცნიერო მივლინებები საზღვარგარეთ, სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სატელევიზიო გადაცემათა ციკლის „საქართველოს ისტორია" წამყვანი და ავტორი. შესაფასებლად წარმოდგენილი აქვს ამერიკული აკადემიური გამომცემლობა „ნოვას" მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია ინგლისურ ენაზე (Ketevan Nadiradze. Tedo Zhordania: A Researcher of the History of Georgia (European Political, Economic, and Security Issues). "Nova Science Publishers, Inc". New-York. 2019). მოცემულია სამეცნიერო კვლევების კონცეფცია. იგი არის, დოქტორანტურის, მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტების ხელმძღვანელი.

გასაუბრების ეტაპზე ქეთევან ნადირაძემ რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის – მისი ძირითადი კვლევის ობიექტის, ქართული ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის მიმართ, და ამ მიმართულებით, მის მიერ წარმოებულ კვლევა-ძიების და მის მიერ მიღებული დასკვნების შესახებ. განიხილა კვლევის მეთოდები, XIX და XX საუკუნის ქართველი ისტორიკოსებისა და მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების შესახებ, მისი ავტორობით უცხოეთში გამოქვეყნებული წიგნის შესახებ. წარმოადგინა, ასევე, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესახებ მისი კვლევების შესახებ ინფორმაცია. მის მიერ დოქტორანტურის, მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის ხელმძღვანელობისა და მათთვის პროფესიულ კარიერაში მხარდაჭერის შესახებ.

გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ გაითვალისწინა შემდეგი გარემოებ: რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. მისი სამეცნიერო-კვლევითი გეგმა თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის დამსწრე ყველა წევრმა (3 ხმა) დაუჭირა მხარი ქეთევან ნადირაძის კანდიდატურას. კონკურსანტის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პედაგოგიური საქმიანობა, საერთაშორისო კონტაქტები, დოქტორანტებთან სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება, რომელიც უკავშირდება საქართველოს ისტორიას დაეხმარება ამავე სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს სწავლის შედეგების წარმატებულად და ეფექტიანად განხორციელებაში. განსაკუთრებით ხაზი გაესვა პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხს – ქართული ისტორიოგრაფიის კურსის კითხვის აუცილებლობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

წარმოდგენილი საბუთების განხილვის საფუძველზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტ **ქეთევან ქუთათელაძის** შეფასება აისახა „კონკურსანტის შეფასების ფორმაში". შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო საშუალო შეფასება; III კატეგორიაში

(სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში მიიღო საშუალო შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო საშუალო შეფასება. კონკურსანტ ქეთევან ქუთათელაძის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგენას მხარი დაუჭირა სხდომის ორმა წევრმა ერთმა თავი შეიკავა.

საკონკურსო კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ქ. ქუთათელაძე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იკავებდა თსუ საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობას, შესაბამისად აქვს პედაგოგიური მუშაობის დიდი სტაჟი. წარმოდგენილი აქვს მხოლოდ ოთხი სასწავლო კურსის სილაბუსი. თსუ-ში ხანგრძლივი პედაგოგური მუშაობის დროს იგი, ძირითადად, უძღვებოდა სასემინარო მუშაობას, ხოლო იშვიათად, სალექციო კურსებს. კონკურსანტის განსახილველად წარმოდგენილი აქვს 2001 წელს გამოცემული ნაშრომი. ქ. ქუთათელაძეს მიღებული აქვს მონაწილეობა მხოლოდ **საქართველოში გამართულ** საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან არანაირი თანამშრომლობა არ ფიქსირდება. ანკეტაში მითითებული სამივე საგრანტო პროექტში მონაწილეობა, არ წარმოადგენს რომელიმე სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულს და შეესაბამება კონკურსანტის სამსახურეობრივ საქმიანობას, რომელსაც ის ეწევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. ქ. ქუთათელაძე არის რამდენიმე საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი და რეცენზენტიმ მას არ ჰყავს დოქტორანტი. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში გამოკვეთილია კონკურსანტის სამეცნიერო აქტივობა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მისი სამეცნიერო საქმიანობა. ასევე, ისტორიულ მეცნიერებაში მისი სამეცნიერო კვლევის თავისებურებები.

გასაუბრების ეტაპზე ქეთევან ქუთათელაძემ რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის მის მიერ ამ ეტაპზე წარმოებული კვლევა-ძიებაზე. გასაკუთრებული ყურადღება დაუთმო თავის საავტორო საგანაზე საუბარს, რომელიც ეხება საქართველოს ისტორიულ საზღვრებს, ასევე, კვლევებს ქვემო ქართლის ისტორიის და ენობრივი მასალის, როგორც ისტორიული წყაროს შესწავლის საქმეს. ყურადღება გაამახვილა დარიალისა და ქურმუხის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ და ა.შ. მნიშვნელოვნად მიაჩნია და აქვს სურვილი, რომ გააგრძელოს კვლევა ძიება და მისი დასკვნები გადასცეს სტუდენტებს.

გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ გაითვალისწინა შემდეგი გარემოება, კონკურსანტს თავისივე ანკეტის მიხედვით, თსუ-ში თავისი ხანგრძლივი სტაჟის მიუხედავად აქვს შეზღუდული რაოდენობით სალექციო კურსების წაკითხვის გამოცდილება. შემოთავაზებულია რვა კურსი, წარმოდგენილია მხოლოდ ოთხი სილაბუსი. არ ფიქსირდება საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობა. კონკურსანტს თავისივე ანკეტის მიხედვით, ფაქტობრივად, არა აქვს დოქტორანტებთან მუშაობის გამოცდილება. საბოლოოდ, გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად ქეთევან ქუთათელაძის კანდიდატურას მხარი კომისიის არც ერთმა წევრმა არ დაუჭირა (0 ხმა).

ერთხმად დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორების („ა" კატეგორია – 1 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ქეთევან ნადირაძე.

ქეთევან ნადირაძის ბიოგრაფიაში ასახულია, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მუდმივი ზრდა და განვითარება. შეესაბამება ყველა მოთხოვნას, ამიტომ, აუცილებელია, რომ მან მის მიერ უკვე მრავალი წლის განმავლობაში დაკავებულ პოზიციაზე გააგრძელოს თავისი წარმატებული სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.

2. გამოქვეყნდეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი და გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

ზაალ აბაშიძე
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე,
ისტორიის დოქტორი,
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
დირექტორი

დიმიტრი შველიძე
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის
ასოცირებული პროფესორი

ალექსანდრე ბოშიშვილი
საკონკურსო კომისიის მდივანი,
ისტორიის დოქტორი,
თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის
ასისტენტ-პროფესორი

თარიღი: 8.XII.2025